საქსტატი
www.geostat.ge

საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური

ადგილობრივი ტურიზმის სტატისტიკა საქართველოში

2021 წელი

16.03.2022
www.geostat.ge

16.03.2022

ადგილობრივი ტურიზმის სტატისტიკა

(2021 წელი)

2021 წელს, საქართველოს ტერიტორიაზე 15 წლის და უფროსი ასაკის ადგილობრივი ვიზიტორების საშუალო თვიური რაოდენობა 1 245.1 ათასით განისაზღვრა, რომელთა მიერ ქვეყნის ტერიტორიაზე განხორციელებული ვიზიტების საშუალო თვიურმა რაოდენობამ 1 412.0 ათასი ერთეული შეადგინა. აღნიშნულ პერიოდში ვიზიტორების საშუალო თვიური რაოდენობა 36.7 პროცენტით მეტია 2020 წლის შესაბამის მონაცემზე.

დიაგრამა 1 ასახავს 2020-2021 წლებში ვიზიტორებისა და მათ მიერ განხორციელებული ვიზიტების საშუალო თვიურ რაოდენობებს.

დიაგრამა №1

15 წლის და უფროსი ასაკის საქართველოს რეზიდენტი ვიზიტორებისა და მათ მიერ საქართველოს ტერიტორიაზე განხორციელებული ვიზიტების საშუალო თვიური რაოდენობა



2021 წელს საქართველოს რეზიდენტი ვიზიტორების მიერ საქართველოს ტერიტორიაზე განხორციელებული ტურისტული ტიპის ვიზიტების საშუალო თვიური რაოდენობა 662.6 ათასით განისაზღვრა, რაც 37.9 პროცენტით მეტია წინა წლის მაჩვენებელზე. დიაგრამა 2 ასახავს საქართველოს რეზიდენტი ვიზიტორების მიერ განხორციელებული ვიზიტების რაოდენობის განაწილებას ვიზიტის ტიპის მიხედვით.

დიაგრამა №2

15 წლის და უფროსი ასაკის საქართველოს რეზიდენტი ვიზიტორების მიერ საქართველოს ტერიტორიაზე განხორციელებული ვიზიტების საშუალო თვიური რაოდენობის განაწილება ვიზიტის ტიპის მიხედვით



2021 წელს ვიზიტორების 38.4 პროცენტი მიეკუთვნებოდა 31-50 წლამდე ასაკობრივ კატეგორიას. ამასთან, ქალების რაოდენობა ვიზიტორების ჯამური რაოდენობის 53.7 პროცენტს შეადგენდა.

დიაგრამა №3

15 წლის და უფროსი ასაკის საქართველოს რეზიდენტი ვიზიტორების საშუალო თვიური რაოდენობის განაწილება ასაკობრივი ჯგუფების მიხედვით 2021 წელს



16.03.2022

დიაგრამა №4

15 წლის და უფროსი ასაკის საქართველოს რეზიდენტი ვიზიტორების საშუალო თვიური რაოდენობის განაწილება სქესის მიხედვით 2021 წელს



გამოკვლევის შედეგების მიხედვით, ვიზიტორების 43.9 პროცენტი ქ. თბილისის მაცხოვრებელია, 11.5 პროცენტი მოდის ქვემო ქართლის რეგიონზე, 11.3 პროცენტი - იმერეთის, რაჭა-ლეჩხუმისა და ქვემო სვანეთის რეგიონზე, ხოლო დანარჩენი რეგიონები სტრუქტურაში შედარებით დაბალი წილით არის წარმოდგენილი.

დიაგრამა 5 ასახავს 15 წლის და უფროსი ასაკის საქართველოს რეზიდენტი ვიზიტორების საშუალო თვიური რაოდენობის განაწილებას საცხოვრებელი რეგიონის მიხედვით.

დიაგრამა №5

15 წლის და უფროსი ასაკის საქართველოს რეზიდენტი ვიზიტორების საშუალო თვიური რაოდენობის განაწილება საცხოვრებელი რეგიონის მიხედვით 2021 წელს, %



2021 წელს ვიზიტების უმრავლესობა (46.9 პროცენტი) განხორციელდა მეგობრების/ნათესავების მონახულების მიზნით.

ცხრილი №1

15 წლის და უფროსი ასაკის საქართველოს რეზიდენტი ვიზიტორების მიერ საქართველოს ტერიტორიაზე განხორციელებული ვიზიტების საშუალო თვიური რაოდენობის განაწილება ვიზიტის მიზნის მიხედვით 2021 წელს, ათასი

ვიზიტის მიზანი	რაოდენობა	%
მეგობრების/ნათესავების მონახულება	662.0	46.9
მეორე სახლის მონახულება (აგარაკი ან სხვ.)	224.2	15.9
შოპინგი	186.4	13.2
მკურნალობა, გაჯანსაღება	126.0	8.9
დასვენება, გართობა, რეკრეაცია	114.4	8.1
პროფესიული/ეკონომიკური საქმიანობა	49.2	3.5
რელიგია/მომლოცველობა	20.8	1.5
განათლების მიღება	3.5	0.2
სხვა	25.4	1.8
სულ	**1,412.0**	**100.0**

საანგარიშო პეროდში ყველაზე მეტი ვიზიტი განხორციელდა ქ. თბილისში (საშუალოდ 300.1 ათასი ვიზიტი თვეში) და იმერეთის რეგიონში (საშუალოდ 241.9 ათასი ვიზიტი თვეში). დიაგრამა 6 ასახავს ვიზიტების საშუალო თვიური რაოდენობის განაწილებას მონახულებული რეგიონების მიხედვით.

დიაგრამა №6

15 წლის და უფროსი ასაკის საქართველოს რეზიდენტი ვიზიტორების მიერ საქართველოს ტერიტორიაზე განხორციელებული ვიზიტების საშუალო თვიური რაოდენობის განაწილება მონახულებული რეგიონების მიხედვით 2021 წელს



დიაგრამა 7 ასახავს 15 წლის და უფროსი ასაკის საქართველოს რეზიდენტი ვიზიტორების მიერ განხორციელებული ვიზიტების რაოდენობის განაწილებას კმაყოფილების დონის მიხედვით.

16.03.2022

დიაგრამა №7

15 წლის და უფროსი ასაკის საქართველოს რეზიდენტი ვიზიტორების მიერ საქართველოს ტერიტორიაზე განხორციელებული ვიზიტების საშუალო თვიური რაოდენობის განაწილება კმაყოფილების დონის მიხედვით 2021 წელს



2021 წელს განხორციელებული ვიზიტებისას გაწეული საშუალო თვიური ხარჯების მოცულობა განისაზღვრა 226.0 მილიონი ლარით. აღნიშნული მაჩვენებელი 53.6 პროცენტით მეტია გასული წლის შესაბამის მაჩვენებელზე. ამასთან, ვიზიტზე გაწეული საშუალო ხარჯი გაზრდილია 13.1 პროცენტით და 160.1 ლარს უტოლდება.

16.03.2022

ცხრილი №2

15 წლის და უფროსი ასაკის საქართველოს რეზიდენტი ვიზიტორების მიერ საქართველოს ტერიტორიაზე განხორციელებული ვიზიტებისას გაწეული საშუალო თვიური ხარჯების განაწილება ხარჯების კატეგორიების მიხედვით 2021 წელს

ხარჯის ტიპი	ხარჯი (მლნ. ლარი)	წილი, %	საშუალო ხარჯი ვიზიტზე (ლარი)
საყიდლები	79.2	35.0	56.1
საკვები და სასმელი	54.8	24.2	38.8
ტრანსპორტი	46.8	20.7	33.1
განთავსება	10.6	4.7	7.5
გასართობი, გამაჯანსაღებელი, კულტურული და სპორტული ღონისძიებები	1.5	0.7	1.1
სხვა	33.3	14.7	23.6
სულ ხარჯი	**226.0**	**100.0**	**160.1**

შენიშვნა: ცალკეულ შემთხვევებში მცირე განსხვავება საბოლოო შედეგსა და შესაკრებთა ჯამს შორის აიხსნება მონაცემთა დამრგვალებით.

საკონტაქტო პირები:

ალექსანდრე არაბული, ტელ: (+995 32) 236 72 10 (200), ელ. ფოსტა: aarabuli@geostat.ge

მარიამ ყაველაშვილი, ტელ: (+995 32) 236 72 10 (020), ელ. ფოსტა: mkavelashvili@geostat.ge